ეთიკის კომისიის
ზეპირი

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

შეკითხვის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 05.06.2014
შეკითხვის რეგისტრაციის ნომერი: 011/14

შეკითხვა:

ადვოკატი მუშაობს საადვოკატო ბიუროში. საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, კლიენტმა ბ-მ ადვოკატს სთხოვა მის საქმესთან დაკავშირებით წარმოებული საქმის მასალები გადაეცა მისთვის. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნული საქმის მასალები ინახება საადვოკატო ბიუროში, რადგანაც ბიუროს ჰქონდეს მონაცემები მათ მიერ წარმოებულ საქმეებთან დაკავშირებით. ადვოკატმა თავის ყოფილ კლიენტს შესთავაზა საქმის მასალების ასლების გადაღება. ამასთან, ადვოკატი აღნიშნავს, რომ საქმის მასალები დიდი მოცულობისაა და ასლების გადაღების ხარჯები ყოფილმა კლიენტმა უნდა დაფაროს. ამ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ ირღვევა თუ არა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები?

ანალიზი:

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილის მიხედვით, „ კლიენტის ინტერესების დაცვის შეწყვეტისას ადვოკატმა კლიენტს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, ფულადი სახსრები ან სხვა ქონება, რომელიც კლიენტმა ადვოკატს გადასცა ან მიანდო წარმომადგენლობითი უფლებამოსილების განხორციელებისას ან რომელიც ადვოკატმა სასამართლოსგან, სხვა ორგანოსაგან ან პირისგან მიიღო საქმის წარმოების პროცესში. კლიენტისთვის გადასაცემი თანხიდან ადვოკატს უფლება აქვს გამოქვითოს ურთიერთობის შეწყვეტამდე განხორციელებული მომსახურებისათვის მისაღები გასამრჯელო და გაწეული ხარჯი.“

განსახილველ შემთხევაში, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილი ადვოკატს ავალდებულებს, საადვოკატო მომსახურების დასრულების შემდეგ, კლიენტს დაუბრუნოს ყველა დოკუმენტი, რაც მოიცავს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის გადაცემულ დოკუმენტაციასა და საადვოკატო მომსახურების გაწევისას კლიენტის საქმესთან დაკავშირებით შექმნილ დოკუმენტებს. აღნიშნული საქმის მასალები ეკუთვნის კლიენტს და შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა კლიენტ ბ-ს უნდა დაუბრუნოს ყველა დოკუმენტაცია. საადვოკატო ბიუროს, რომელსაც სურს მის მიერ წარმოებულ საქმესთან დაკავშირებით დოკუმენტების შენახვა, შეუძლია გადაიღოს საქმის მასალების ასლები თავისი ხარჯით, ხოლო დოკუმენტების ორიგინალი გადასცეს კლიენტს.

დასკვნა:

იმ შემთხვევაში, თუ ადვოკატი არ დაუბრუნებს ყოფილ კლიენტს საქმის მასალებს და კლიენტს განუცხადებს, რომ ვინაიდან დოკუმენტაცია დიდი მოცულობისაა, კლიენტმა თავისი ხარჯით გადაიღოს ასლები, ხოლო ორიგინალი საადვოკატო ბიუროში დარჩება, დაარღვევს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-15 ნაწილს, ვინაიდან ადვოკატი ვალდებულია დაუბრუნოს თავის ყოფილ კლიენტს საქმის მასალები.

რეკომენდაცია არ არის სავალდებულო ეთიკის კომისიის ან სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ეტაპზე, თუმცა შესაძლებელია გამოყენებული იქნეს ერთ-ერთ წყაროდ ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში.